მოდული

1. **ზოგადი ინფორმაცია:**

სახელწოდება:	კომუნიკაცია ქართულ ენაზე
მოცულობა კრედიტებში:	14
მოდულზე დაშვების წინაპირობა:	საბაზო განათლება

მოდულის მიზნები

მოდულის სწავლების მიზანია:

- პროფესიულ სტუდენტს განუვითაროს ეფექტიანი ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარები;
- პროფესიულ სტუდენტს განუვითაროს სხვადასხვა ტიპის ბეჭდური ტექსტებისა და მედიატექსტების კრიტიკული ანალიზის უნარები;
- პროფესიულ სტუდენტს განუვითაროს ენობრივი უნარები, გაუმდიდროს ლექსიკური მარაგი;
- პროფესიულ სტუდენტს განუვითაროს მხატვრულ-ესთეტიკური გემოვნება;
- პროფესიულმა სტუდენტმა შეძლოს კომუნიკაციის უნარების დამოუკიდებლად განვითარება;
- ხელი შეუწყოს პროფესიული სტუდენტის, როგორც ჰუმანურ ღირებულებებზე ორიენტირებული, შემოქმედებითი და მაძიებელი პიროვნების ფორმირებას.

მოდულის აღწერა:

მოდული შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტთან.

2. სტანდარტული ჩანაწერები:

სწავლის შედეგები პროფესიულ **სტუდენტს შეუძლია** პროფესიულმა სტუდენტმა უნდა შეძლოს:	**შესრულების კრიტერიუმები** პროფესიულ სტუდენტს შეუძლია:	**კომპეტენციის პარამეტრების ფარგლები**	**შეფასების მიმართულება**
1. ტექსტის გაანალიზება ჟანრული და კომპოზიციური მახასიათებლების გათვალისწინებით.	• ჟანრის ამოცნობა ტექსტის სპეციფიკურ ჟანრობრივ მახასიათებლებზე დაყრდნობით; • ფაქტობრივი, ქვეტექსტური და კონცეპტუალური ინფორმაციის ამოცნობა-მოძიება; • ტექსტის სხვადასხვა ნაწილში მოცემულ ინფორმაციას შორის მიმართებების გააზრება, დასკვნის გამოტანა; • პერსონაჟის/ამბის გმირის დახასიათება ტექსტის მონაცემებზე დაყრდნობით; • პერსონაჟ(ებ)ის შედარება, მსგავსება-განსხვავებების გამოვლენა მათ შორის; • მსჯელობა ავტორის/პერსონაჟის ფასეულობებზე; • მსჯელობა იმაზე, თუ როგორ იყენებს ავტორი თემის/მთავარი იდეის წარმოსაჩენად კომპოზიციის ელემენტებს (მაგ., მოქმედების დროსა და ადგილს, პერსონაჟებს, სიუჟეტს); • ავტორის/მთხრობელის, პერსონაჟების ხედვის პერსპექტივებს შორის არსებული სხვაობის გააზრება.	ტექსტის ფორმატი ტექსტების ტიპი მხატვრული ჟანრები არამხატვრული ჟანრები	წერითი ან ზეპირი გამოკითხვა
2. ტექსტის გაანალიზება ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებისა და	• ტექსტში გამოყენებული ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებისა და მათი ფუნქციის ამოცნობა; • ტექსტის სტრუქტურულ-ორგანიზაციული	სტრუქტურული ელემენტები	წერითი ან ზეპირი გამოკითხვა

სტრუქტურულ-ორგანიზაციული მახასიათებლების მიხედვით.	ელემენტებისა და მათი ფუნქციის ამოცნობა; • მეტყველების სხვადასხვა ტიპის (აღწერის, თხრობის, მსჯელობის) ეფექტიანობის განსაზღვრა სხვადასხვა სახის ტექსტებში.	ორგანიზაციული ყალიბი	
3. ტექსტის გააზრება-გაანალიზება კონტექსტური ფაქტორების გათვალისწინებით.	• ნაწარმოების დაკავშირება ისტორიულ კონტექსტთან; • ნაწარმოებში აღწერილი ადგილის, დროის, კულტურულ-სოციალური გარემოს დახასიათება; • კონკრეტული ეპოქისთვის დამახასიათებელი თემების, იდეების, ფასეულობებისა და პრობლემების ამოცნობა; • კონკრეტული ეპოქის, კულტურული კონტექსტის ამსახველი დეტალების ამოცნობა; • მსჯელობა კონკრეტული ისტორიული ეპოქის ფასეულობების მიმართ ავტორის/პერსონაჟის დამოკიდებულებაზე. • ტექსტსა და ავტორის გამოცდილებას შორის არსებული მიმართებების ამოცნობა.	კონტექსტური ფაქტორები	
4. ტექსტების შედარება, ინტერტექსტობრივი მიმართებების გამოვლენა.	• ერთსა და იმავე თემაზე/საკითხზე, პრობლემაზე შექმნილ ნაწარმოებებს შორის მსგავსება-განსხვავებების გამოვლენა, დასკვნების გამოტანა; • სხვადასხვა კულტურულ კონტექსტში შექმნილ ლიტერატურულ ნაწარმოებებში ასახული მსგავსი პრობლემატიკის გაანალიზება; • სხვადასხვა ნაწარმოებში ასახული ფასეულობებისა და შეხედულებების მსგავსება-განსხვავებაზე მსჯელობა; • ფარული და აშკარა ინტერტექსტუალობის ამოცნობა წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით.	ინტერტექსტუალობა	წერითი ან ზეპირი გამოკითხვა
5. ტექსტის ინტერპრეტირება, მის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა-დასაბუთება.	• პირადი და/ან ლიტერატურული გამოცდილების ჭრილში ტექსტის მნიშვნელობის ახსნა, ტექსტში ასახული პრობლემის განხილვა; • ავტორის, პერსონაჟის თვალსაზრისის, პოზიციის გაზიარება/კრიტიკა სათანადო დასაბუთებით; • საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა ტექსტის, მასში ასახული თემის/პრობლემის მიმართ სათანადო		პრაქტიკული დავალება

	ახსნა-დასაბუთებით; • ნაწარმოების ახალი ვერსიის შექმნა (დასასრულის განსხვავებული ვერსიის, მოქმედების დროისა და ადგილის, სოციოკულტურული გარემოს შეცვლით, ახალი პერსონაჟის შეყვანით, პერსონაჟის ქცევის ალტერნატიული ვარიანტის მოფიქრებით და მისთ.); • ტექსტის შეფასება თანამედროვეობის პოზიციიდან.		
6. სხვადასხვა ტიპის ზეპირი და წერილობითი ტექსტების შედგენა-გაზიარება საკომუნიკაციო სიტუაციის გათვალისწინებით.	• საკომუნიკაციო მიზნისა და სიტუაციის შესაბამისი ტექსტის ტიპის, სტილისა და ლექსიკის შერჩევა; • სათქმელს გასაგებად და თანამიმდევრულად ჩამოყალიბება; • ტექსტის სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების მიზნის შესაბამისად გამოყენება; • სხვადასხვა სახის ტექსტების შექმნისას სათანადო ლექსიკის, ენობრივ-გრამატიკული საშუალებებისა და სტილის გამოყენება; • სამეტყველო ეტიკეტის დაცვა; • სალიტერატურო ენის ნორმების, მართლწერისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.	საკომუნიკაციო სიტუაცია	პრაქტიკული დავალება
7. წარმატებული კომუნიკაციის სტრატეგიების გააზრებულად გამოყენება.	• კონკრეტული საკომუნიკაციო პროცესის (მაგ., კითხვის, წერის, მოსმენის, ლაპარაკის) განსაზღვრული ეტაპის შესაბამისი სტრატეგიის შერჩევა მიზნის გათვალისწინებით; • გამოყენებული სტრატეგიის შეფასება ეფექტიანობის თვალსაზრისით.	კოგნიტური სტრატეგიები მეტაკოგნიტური სტრატეგიები.	ზეპირი გამოკითხვა

სამიზნე ცნებები	მკვიდრი წარმოდგენები
ტექსტის ჟანრი	➢ ერთი ჟანრის ტექსტებს აქვთ საერთო მახასიათებლები (ენობრივ-სტილური, სტრუქტურული, სხვ. მსგავსებები); ➢ ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა მეხმარება ტესტის გაგება-გააზრებაში; ➢ ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნის გამოყენება მეხმარება სხვადასხვა მიზნით წერაში.
ტექსტის კომპოზიცია	➢ ნაწარმოების მთლიანობას ქმნის კომპოზიციური და ლიტერატურული ელემენტების ერთობლიობა. ➢ კომპოზიციური ელემენტების ცოდნის გამოყენება დამეხმარება ტექსტების სიღრმისეულად გააზრებაში, მიზნის შესაბამისი ტექსტების შედგენაში.
ტექსტის სტრუქტურა, ორგანიზება	➢ სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნის გამოყენება დამეხმარება ტექსტების სიღრმისეულად გააზრებაში, მიზნის შესაბამისი ტექსტების შედგენაში.
ტექსტის ენა, სტილი	➢ ტექსტში გამოყენებული ენობრივ-გრამატიკული ფორმები და სიტყვები გავლენას ახდენს ტექსტის მნიშვნელობაზე/ფასეულობაზე. ➢ ავტორები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ უკეთ გადმოსცენ სათქმელი, მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი. ➢ ენობრივი საშუალებების ცოდნა დამეხმარება ტექსტების გაგება-გააზრებაში, მიზნის შესაბამისი ტექსტების შედგენაში.
საკომუნიკაციო სიტუაცია	➢ საკომუნიკაციო სიტუაციის ცოდნის გამოყენება დამეხმარება ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარებაში.
კონტექსტი	➢ კონტექსტის ცოდნა მეხმარება ტექსტის სიღრმისეულად, მრავალმხრივად გაგება-გააზრებაში.
ინტერტექსტუალობა	➢ ინტერტექსტობრივი მიმართებების აღმოჩენა შესაძლებელია წინარე ცოდნა-გამოცდილების გამოყენებით. ➢ ინტერტექსტობრივი მიმართებების დადგენის შედეგად უფრო ღრმად/მრავალმხრივად გავიაზრებ ტექსტის მნიშვნელობას, იდეებს, თემებსა და პერსპექტივებს.
ინტერპრეტაცია	➢ ტექსტის მნიშვნელობის ასახსნელად, ახალი კუთხით/ფორმით წარმოსაჩენად შემიძლია გამოვიყენო პირადი გამოცდილება, ნასწავლი/ნაცნობი ლიტერატურის, ცნებებისა და საკითხების ცოდნა.
სტრატეგიები	➢ კითხვა, წერა, ლაპარაკი და მოსმენა არის ქმედებები და თითოეული მათგანი ეტაპებისგან შედგება. ➢ კითხვის, წერის, ლაპარაკისა და მოსმენის მიზნის მისაღწევად უნდა შევარჩიო და გამოვიყენო ცალკეული კონკრეტული ეტაპის შესაბამისი სტრატეგია.

3. დამხმარე ჩანაწერები:

3.1. რეკომენდაციები სწავლებისა და შეფასების ორგანიზებისთვის

სწავლის შედეგი	**თემატიკა**	**სწავლება-სწავლის მეთოდები**	**შეფასების მეთოდი/მეთოდები**	**მტკიცებულება/მტკიცებულებები პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოსთვის**
1-7 შედეგები	**I თემატური ბლოკი:** **ადამიანი და მისი ცხოვრება -** ადამიანის შინაგანი სამყარო **<u>თემა: სიყვარული</u>** *ტექსტები:* <u>მხატვრული</u> 1. გოდერძი ჩოხელი, „ცხრა შეკითხვა სიყვარულზე“; 2. გიორგი ლეონიძე, „ყივჩაღის პაემანი“; 3. „შემომეყარა ყივჩაღი“ (ხალხური); 4. ო’ჰენრი, „მოგვთა საჩუქრები“ (შემოკლებული, ადაპტირებული ვერსია) <u>არამხატვრული</u> 5. ფსიქოლოგიური ტესტი: „რა ტიპის შეყვარებული ხართ?“ <u>მულტიმედიური და აუდიოტექსტი</u> 7. მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ქორწილი“ 8. „ყივჩაღის პაემანი“- ლექსის 2	• დემონსტრირება/მოდელირება, • მართული პრაქტიკა, დამოუკიდებელი პრაქტიკული დავალება ინდივიდუალურად, წყვილებში, ჯგუფებში. სოკრატული მეთოდი გონებრივი იერიში	*შეფასებისთვის გამოიყენება კომპლექსური დავალებები:* • დისკუსია; დებატები; ლიტერატურული სამსჯავრო, ლიტერატურული სალონი; • პრეზენტაცია, ზეპირი მოხსენება/ზეპირი გამოსვლა; პრობლემური საკითხის წარმოდგენა იმიტირებული სიტუაციის (მინისპექტაკლის, როლური თამაშის და სხვ.) საშუალებით;	**გამოკითხვა - ზეპირი მტკიცებულება** ა) ზეპირი: პროფესიული მასწავლებლის/ დაწესებულების წარმომადგენლის მიერ შევსებული ჩანაწერი/კითხვარი/შეფასების ფურცელი ან/და ვიდეოჩანაწერი ან/და აუდიოჩანაწერი. **პრაქტიკული დავალება დაკვირვებით - შესრულების მტკიცებულება** პროფესიული განათლების მასწავლებლის/დაწესებულების წარმომადგენლის მიერ წერილობითი ჩანაწერი/კითხვარი/შეფასების ფურცელი ან/და აუდიოჩანაწერი

	აუდიოჩანაწერი (გიორგი ლეონიძისა და თანამედროვე ქართველი მსახიობის წაკითხვით). **<u>თემა: ადამიანი საზოგადოებაში</u>** *ტექსტები:* <u>მხატვრული</u> 1. ილია ჭავჭავაძე, „ოთარაანთ ქვრივი“ (ცალკეული თავები); <u>არამხატვრული</u> 2. თ. ფერაძის სტატია „თანამედროვე საზოგადოების სოციალური ფენები“ <u>მულტიმედიური</u> 3. ჯერი ლუისის პანტომიმური სცენა „კურიერი“	კითხვა პაუზებით დისკუსია როლური თამაში ინსცენირება წერა კალმის აუღებლად	• ნაწარმოების ინსცენირება; •ანალიტიკური წერითი ნამუშევრები (მაგ., ტექსტის ანალიზი; ორი ტექსტის შედარებითი ანალიზი, პერსონაჟის დახასიათება, პერსონაჟების შედარებითი დახასიათება); • თხრობითი ტექსტის შედგენა (რეალურ ან/და წარმოსახვით გამოცდილებაზე); • დამარწმუნებელი ტექსტების შედგენა (არგუმენტირებული ესე, სარეკლამო, სარეკლამო-საინფორმაციო ტექსტი, წერილი რედაქციას, რედაქტორს);	ან/და ქრონომეტრაჟით გადაღებული ფოტოები, რომლებიც ასახავს პროფესიული სტუდენტის მიერ დავალების შესრულების პროცესს.
	თემა: კონფლიქტები და ცვლილებები *ტექსტები:* <u>მხატვრული</u> ვაჟა-ფშაველა, „ალუდა ქეთელაური (ცალკეული თავები) <u>არამხატვრული</u> კონფლიქტი: მისი არსი და დაძლევის გზები (საინფორმაციო) <u>მულტიმედიური</u>	დემონსტრირება/მოდელირება, მართული პრაქტიკა, დამოუკიდებელი პრაქტიკული დავალება ინდივიდუალურად, წყვილებში, ჯგუფებში.	• ახსნა-განმარტებითი/საინფორმაციო ტექსტის შედგენა; • პროექტი / კვლევა (თემაზე, ტექსტის იდეაზე, კონკრეტულ	**გამოკითხვა - ზეპირი მტკიცებულება** ა) ზეპირი: პროფესიული მასწავლებლის/ დაწესებულების წარმომადგენლის მიერ შევსებული ჩანაწერი/კითხვარი/შეფასების ფურცელი ან/და ვიდეოჩანაწერი ან/და

	მხატვრული ფილმი „ვედრება“: ფრაგმენტი („*ალუდა ქეთელაურის*“ მიხედვით) **II თემატური ბლოკი:** **სამყაროს შეცნობა, ახლის ძიება** **<u>თემა: სწავლა-აღზრდა</u>** *ტექსტები:* <u>მხატვრული</u> 1. აკაკი წერეთელი, „გამზრდელი“ (შემოკლებული ვერსია) <u>არამხატვრული</u> 2. დანიელ პენაკი, სკოლის სევდა: ფრაგმენტები (ავტობიოგრაფიული); 3. სტივენ ჯობსი, სიტყვა სტენფორდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა მიმართ (შემოკლებული, ადაპტირებული) <u>*მულტიმედიური*</u> მხატვრული ფილმი „ძნელად აღსაზრდელი ბავშვები“ (ცალკეული ეპიზოდები) **III თემატური ბლოკი:** **მარადიული ძიებები** **<u>თემა: სიტყვის ძალა</u>**		პრობლემაზე/ საკითხზე); • წერილობითი რეზიუმეს შედგენა (ნაცნობი ტექსტის); ტექსტის შეცვლა: გავრცობა-შევსება, ახალი პერსონაჟ(ებ)ის შემოყვანა, დასასრულის შეცვლა, თხრობის გაგრძელება, წინარე ისტორიის აღდგენა, ტექსტის გადაწერა სხვა ჟანრში; წერილი ავტორს, პერსონაჟს • ერთი პერსონაჟის წერილი მეორის მიმართ; • წარმოსახვითი ინტერვიუ ავტორთან, პერსონაჟთან; ინტერვიუ რეალურ ადამიანთან	აუდიოჩანაწერი.
		დემონსტრირება/მოდელირება, მართული პრაქტიკა, დამოუკიდებელი პრაქტიკული დავალება ინდივიდუალურად, წყვილებში, ჯგუფებში. •		**გამოკითხვა - ზეპირი მტკიცებულება** ა) ზეპირი: პროფესიული მასწავლებლის/დაწესებულების წარმომადგენლის მიერ შევსებული ჩანაწერი/კითხვარი/შეფასების ფურცელი ან/და ვიდეოჩანაწერი ან/და აუდიოჩანაწერი. **პრაქტიკული დავალება დაკვირვებით - შესრულების მტკიცებულება** პროფესიული განათლების მასწავლებლის/ დაწესებულების წარმომადგენლის მიერ წერილობითი ჩანაწერი/კითხვარი/შეფასების ფურცელი ან/და აუდიოჩანაწერი ან/და ქრონომეტრაჟით გადაღებული ფოტოები, რომლებიც ასახავს

	ტექსტები: მხატვრული 1. ილია ჭავჭავაძე, „გლახის ნაამბობი“ (ფრაგმენტი). არამხატვრული 3. თამარ ფერაძის სტატია: „დასაშვებია თუ არა მობილურები სკოლებში?“ (დამარწმუნებელი ტექსტი). 4. ორი სარეკლამო ტექსტი (დამარწმუნებელი ტექსტი). მულტიმედიური 5. სოციალური სარეკლამო რგოლი 6. ივანე ჯავახიშვილის საჯარო გამოსვლა 7. ეპიზოდი მხატვრული ფილმიდან „ქალის სურნელი“. *ტექსტების ფორმატი* ბეჭდური, ვიზუალური, აუდიო - და მულტიმედიური ტექსტები *მხატვრული ჟანრები:* მოთხრობა, ნოველა, იგავი, მითი, ზღაპარი, ლეგენდა, ლექსი, პოემა, რომანი; *არამხატვრული ჟანრები:* საინფორმაციო-შემეცნებითი, ესე, პუბლიცისტური წერილი, ინტერვიუ, რეპორტაჟი, ახალი ამბები, წერილი, საჯარო გამოსვლა, რეკლამა,		• ანოტაციის, რეკომენდაციის შედგენა (მაგ., წიგნის, ფილმის); • წერილობითი ტექსტების შედგენა თვითგამოხატვის მიზნით (მაგ., ჩანახატი, ნოველა, პირადი გამოხმაურება/შთაბეჭდილება); • ალტერნატიული ფორმის ტექსტების შედგენა თვითგამოხატვისთვის, პირადი დამოკიდებულების წარმოჩენისთვის (მაგ., ნახატი, პოსტერი, კოლაჟი, გრაფიკა, ვიდეორგოლი, მუსიკალური კლიპი შესწავლილი ტექსტების საფუძველზე) და მისთ.	პროფესიული სტუდენტის მიერ დავალების შესრულების პროცესს.
		დემონსტრირება/მოდელირება, მართული პრაქტიკა, დამოუკიდებელი პრაქტიკული დავალება ინდივიდუალურად, წყვილებში, ჯგუფებში. •		**გამოკითხვა - ზეპირი მტკიცებულება** ა) ზეპირი: პროფესიული მასწავლებლის/დაწესებულების წარმომადგენლის მიერ შევსებული ჩანაწერი/კითხვარი/შეფასების ფურცელი ან/და ვიდეოჩანაწერი ან/და აუდიოჩანაწერი. **პრაქტიკული დავალება დაკვირვებით - შესრულების მტკიცებულება** პროფესიული განათლების მასწავლებლის/ დაწესებულების წარმომადგენლის მიერ წერილობითი ჩანაწერი/კითხვარი/შეფასების ფურცელი ან/და

	ავტობიოგრაფია/ბიოგრაფია. *<u>კომპოზიციური ელემენტები:</u>* თემა, იდეა, ფაბულა, სიუჟეტი, რიტმი, რითმა, სტროფი, ჩანართი ეპიზოდები, პერსონაჟი, კონფლიქტი, განწყობა, სიუჟეტი, მოქმედების დრო და ადგილი, ხედვის კუთხე/პერსპექტივა, ფაქტობრივი ინფორმაცია: ინფორმაციას მოქმედების ადგილის, დროის, მონაწილეების, საქმის ვითარების, მოვლენათა თანამიმდევრობის, პერსონაჟთა ქცევის შესახებ. *<u>კონცეპტუალური ინფორმაცია:</u>* თემა, პრობლემა, მთავარი იდეა (დედააზრი)/ძირითადი საკითხი; ფასეულობები/დამოკიდებულებები *<u>ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები:</u>* ➢ დროითი თანამიმდევრობის, სივრცეში ორიენტაციის, ლოგიკურ მიმართებათა გამომხატველი კონსტრუქციები; ➢ ლექსიკა - ომონიმები, პარონიმები, დიალექტიზმი, ბარბარიზმი, ჟარგონი, სლენგი, ნეოლოგიზმი, ფრაზეოლოგიზმი; ➢ სიტყვაწარმოება. ➢ წინადადებათა აზრობრივი გადაბმის ტიპები: ჯაჭვური, პარალელური, შერეული;			აუდიოჩანაწერი ან/და ქრონომეტრაჟით გადაღებული ფოტოები, რომლებიც ასახავს პროფესიული სტუდენტის მიერ დავალების შესრულების პროცესს.

	➢ ➢ სტილი: ფუნქციური სტილი (სასაუბრო, მხატვრული, პუბლიცისტური, ოფიციალურ-საქმიანი, სამეცნიერო) ➢ ტროპები: ეპითეტი, შედარება, ჰიპერბოლა, ალეგორია, ირონია; ➢ რიტორიკის ელემენტები: თეზისი, არგუმენტი; <u>სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტები:</u> სათაური, ქვესათაური, ეპიგრაფი, პროლოგი, ეპილოგი, აბზაცი, რუბრიკა, ნაწილი, მიმართვა, ხელმოწერა, არავერბალური ელემენტები (ილუსტრაცია, ლოგო, სქემა, შრიფტის ზომა, სახეობა), ორგანიზაციული ყალიბი. <u>*კონტექსტური ფაქტორები*</u> ➢ ტექსტის შექმნის ეპოქა, ადგილი, სოციოკულტურული გარემო; ➢ ისტორიული ეპოქის ფასეულობები, ღირებულებები, ცოდნის დონე; ავტორის გამოცდილება (ცხოვრებისეული და სულიერი). <u>*ინტერტექსტუალური მიმართებები*</u> ალუზია, ციტირება <u>*საკომუნიკაციო სიტუაცია:*</u> ➢ კომუნიკაციის ადგილი, მიზანი, აუდიტორია/ადრესატი, ავტორი,			

	უკუკავშირი; არავერბალური მეტყველების ელემენტები.			
	<u>კოგნიტური სტრატეგიები</u> *მოსმენა* სტრატეგიები მოსმენამდე, მოსმენის მიზნის განსაზღვრა, მოსმენის დროს, მოსმენის შემდეგ (მაგ., მოსმენის მიზნის განსაზღვრა, წინარე ცოდნის მობილიზება, ჩანაწერების კეთება, დამაზუსტებელი კითხვების დასმა, რეფრაზირება, მოსმენილის გონებაში გაცოცხლება, შეჯამება, და მისთ.) *ლაპარაკი* სტრატეგიები ლაპარაკის დაწყებამდე, ლაპარაკის დროს, ლაპარაკის შემდეგ (მაგ., საკომუნიკაციო სიტუაციის განსაზღვრა-დაზუსტება, რეპეტიციის გავლა, გეგმის შედგენა, *კითხვა* სტრატეგიები კითხვამდე, კითხვის დროს, კითხვის შემდეგ (მაგ., წინარე ცოდნის გააქტიურება, დაკავშირება, ვარაუდების გამოთქმა, წაკითხულის ვიზუალიზაცია, შეჯამება, შეკითხვების დასმა, ხელახლა წაკითხვა, დაჯგუფება- დახარისხება, კონტექსტზე დაყრდნობით/ლექსიკონის გამოყენებით სიტყვის მნიშვნელობის ამოცნობა-დადგენა) სტრატეგიები წერის დაწყებამდე, წერის დროს, წერის შემდეგ (მაგ., კომუნიკაციის სიტუაციური მახასიათებლების განსაზღვრა; იდეების გენერირება; იდეების დაჯგუფება; ცოდნის მობილიზება; გეგმის			

	შედგენა; პირველადი ვარიანტის შედგენა; პირველადი ვარიანტის გაუმჯობესება; ნაწერის გაფორმება და წარდგენა-გაზიარება) *<u>მეტაკოგნიტური სტრატეგიები</u>* *(მაგ.,* აქტივობის/დავალების ღირებულების გააზრება; დაფიქრება სწავლის პროცესზე, წინსვლა-განვითარების შემაფერხებელი და ხელშემწყობი ფაქტორების გაცნობიერება, სწავლის პროცესის დაგეგმვა, სტრატეგიების მოდელირება მეტაკოგნიტური პაუზა: აქტივობის დაწყებამდე ან/და აქტივობის შემდეგ).			
დამატებითი რეკომენდაციები მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით **(საჭიროების შემთხვევაში)**	მოდულში „კომუნიკაცია ქართულ ენაზე“ სწავლა-სწავლის შედეგები არ მიიღწევა თანმიმდევრობით. მათზე მუშაობა სხვადასხვა თემატურ კონტექსტებში პარალელურად უნდა მიმდინარეობდეს. მოდულის გეგმით გათვალისწინებულია მრავალფეროვანი სასწავლო აქტივობების განხორციელება, რომლებშიც გამოყენებული იქნება აქტიური და ინტერაქტიული სწავლების მიდგომები: თამაშები, სიმულაციები, პრაქტიკული დავალებების/პროექტების შესრულება, დისკუსიებისა და პრეზენტაციების/ზეპირი გამოსვლების ორგანიზება, სხვადასხვა ტიპის საკითხავი და მოსასმენი ამოცანების გადაჭრა; სხვადასხვა ტიპის ტექსტის შექმნა (დამოუკიდებლად, მეწყვილესთან ერთად ან ჯგუფურად). პრაქტიკული სავარჯიშოები სასურველია ისე შეირჩეს, რომ პირებმა შეძლონ მუშაობა როგორც ინდივიდუალურად, ისე მცირე ჯგუფებში. სწავლებისას სათანადო ყურადღება მიექცევა მოდელირების სტრატეგიას - მასწავლებელს მოეთხოვება მოახდინოს თითოეული პრაქტიკული უნარის დემონსტრირება (მოდელირება), რის შემდეგაც პროფესიულ სტუდენტს მიეცემა ანალოგიურ ოპერაციების შესრულების საშუალება სხვა მოცემულობისათვის. რეკომენდებულია სასწავლო გარემოს (აუდიტორიის) იმდაგვარად მოწყობა და სასწავლო ინვენტარის ისე განლაგება, რომ არ შეიზღუდოს პროფესიულ სტუდენტთა თავისუფალი მობილობა როლური თამაშების ან/და გუნდებში მუშაობის შემთხვევებში. სასწავლო პროცესის სათანადოდ ორგანიზების ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა საკლასო აუდიტორიის აღჭურვა ტექნიკური საშუალებებით (კომპიუტერი, პროექტორი), აგრეთვე საკანცელარიო საქონლით (ფლიპჩარტის დაფა, დაფის ფერადი მარკერები, საშლელი და სხვა). შესასრულებელი სამუშაოების უკეთ გააზრებისა და დროის ეფექტიანად მართვისათვის მნიშვნელოვანია პროფესიულ სტუდენტებს მეცადინეობის დაწყებამდე მიეწოდოთ საჭირო საინფორმაციო რესურსები (სასწავლო მასალა, განსახილველი თემების ამონაბეჭდები,			

	შესასრულებელი სამუშაოების/დავალებების ინსტრუქციები, შეფასების კრიტერიუმები და სხვა). **კავშირი დარგობრივ მოდულებთან -** მოდულით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად თავისუფლად შეიძლება დარგობრივი ტექსტებისა და დარგობრივი თემატიკის გამოყენება. ეს განსაკუთრებით ეხება შემდეგ შედეგებს: • შედეგი 1. დისკუსიები შეიძლება დარგობრივ საკითხებზე გაიმართოს; • შედეგი 2. პროფესიული სტუდენტები პრეზენტაციებს დარგობრივ თემატიკაზე მოამზადებენ და წარდგენისას ისწავლიან არავერბალური კომუნიკაციის სტრატეგიების გამოყენებას; • შედეგები 3. და 5. პროფესიული სტუდენტები მრავალგვარად გაანალიზებენ დარგობრივ ტექსტებს და გამოხატავენ საკუთარ დამოკიდებულებას მასში ასახული საკითხების მიმართ; • შედეგი 6. წერითი მეტყველების უნარების გასავითარებლად შესაძლებელია ასევე დარგობრივი თემატიკისა თუ საკითხების გამოყენება.

3.2. რეკომენდაციები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის:

საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) ან/და აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება -საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.